27/06/2022

# სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მიმართვა ,,პავლენის“ 28-ე საერთაშორისო კონფერენციის მონაწილეთ



თქვენო მაღალყოვლადუსამღვდელოესობავ, მეუფე პანტელეიმონ, ყოვლადუსამღვდელოესნო მღვდელმთავარნო, ღირსნო მამანო, ქრისტესმიერ საყვარელო ძმანო და დანო, ყველას გულითადად მოგესალმებით საუკეთესო სურვილებით და მახარებს თქვენი ერთად ყოფნა.

მინდა მადლიერებით აღვნიშნო, რომ თქვენი შეხვედრის მიზანი და განსახილველი თემა, – ,,მოციქული პავლე და კრიზისების მართვა,“ – ფრიად აქტუალურია დღეს მსოფლიოში მიმდინარე პროცესების ფონზე.

სამწუხაროდ, მართლმადიდებელ სამყაროში არსებული პრობლემები კიდევ უფრო მნიშვნელოვანს ხდის ამ მიმართულებით ჭეშმარიტი ქრისტიანული აზროვნების წინ

წამოწევის აუცილებლობას, რათა საზოგადოებას სწორი ორიენტირები მიეწოდოს.

ვიმედოვნებთ, ეს შეხვედრაც, ისევე როგორც წლების მანძილზე ,,პავლენის“ მიერ ჩატარებული ფრიად საინტერესო კონფერენციები, იქნება წარმატებული და ,,სიყვარულით დამკვიდრებულთ და დაფუძნებულთ“, ძალისამებრ თქვენისა, შეგეძლებათ ,,სიგრძისა და სიგანის, სიღრმისა და სიმაღლის წვდომა და რაც ყოველგვარ შემეცნებას აღემატება, შეცნობა ქრისტეს სიყვარულისა“.(ეფ. 3:18-19)

კიდევ ერთხელ მოგესალმებით ყველას, გლოცავთ და მოგილოცავთ 28-ე საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობას. წმ. პავლე მოციქული გეწეოდეთ ღვთისსათნო თქვენს საქმიანობაში.

ქრისტესმიერი სიყვარულით

ილია II

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი

მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი

ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი

სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი
0114, თბილისი, მეფე ერეკლე II მოედანი 1
ტელ: (995 32) 2990378, 2989540

CATHOLICOS-PATRIARCH
OF ALL GEORGIA
1, King Erekle II sq. Tbilisi 0114
Tel.: (995 32) 2990378, 2989540

### Προς τους συμμετέχοντες του Διεθνούς Συνέδριου «ΚΗ Παύλεια»

(25.06.2022 )

Σεβασμιώτατε μητροπολίτη κ. Παντελεήμονα, σεβασμιότατοι Αρχιερείς, σεβαστοί Πατέρες, εν Χριστό αγαπητοί αδελφοί και αδελφές,

Σας σας στέλνω τους θερμούς μου χαιρετισμούς και χαίρομαι που είστε μαζί.

Θα ήθελα να σημειώσω με ευγνωμοσύνη ότι ο σκοπός της συνάντησής σας και το θέμα που θα συζητηθεί «Ο Απόστολος Παύλος και η διαχείριση των κρίσεων» είναι πολύ επίκαιρο υπό το πρίσμα των τρεχουσών διαδικασιών στον κόσμο σήμερα.

Δυστυχώς, τα προβλήματα στον ορθόδοξο κόσμο καθιστούν ακόμη πιο σημαντική την ανάγκη να προωθηθεί η αληθινή χριστιανική σκέψη (όραμα) προς αυτή την κατεύθυνση για να δοθούν στην κοινωνία οι σωστοί προσανατολισμοί.

Ελπίζουμε ότι αυτή η συνάντηση, καθώς και τα πολύ ενδιαφέροντα συνέδρια που διοργάνωσε τα «Παύλεια» όλα αυτά τα χρόνια, θα είναι επιτυχής και θά «μείνει δέ καί διά τής άγάπης ριζωμένοι βαθειά καί θεμελιωμένοι διά νά ήμπορέσετε νά καταλάβετε μαζί μέ όλους τούς Χριστιανούς, τό πλάτος καί μήκος καί ΰψος καί βάθος,
γνώναί τε τήν ύπερβάλλουσαν τής γνώσεως άγάπην τοῦ Χριστοῦ, ΐνα πληρωθήτε είς πάν τό πλήρωμα τοῦ θεοῦ.» (Εφεσ. 3, 18-19.).

Για άλλη μια φορά σας χαιρετώ όλους, σας συγχαίρω για τη συμμετοχή σας στο 28ο Διεθνές Συνέδριο.

Ευχομαι ο Αγ. Απόστολος Παύλος να ειναι οδηγός και προστάτης σας στο Θεάρεστο αυτό έργο που διατελείτε.

Μετ' εν Χριστό τω Θεό αγάπη,

**Καθολικός – Πατριάρχης πάσης Γεωργίας,**
**Αρχιεπίσκοπος Μτσχέτης και Τιφλίδος**
**και Μητροπολίτης Μπιτσβίνθας και Σουχουμίου-Απχαζίας**

სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი
0114, თბილისი, მეფე ერეკლე II მოედანი 1
ტელ: (995 32) 2990378, 2989540

CATHOLICOS-PATRIARCH
OF ALL GEORGIA
1, King Erekle II sq. Tbilisi 0114
Tel.: (995 32) 2990378, 2989540

## „პავლენის" 28-ე საერთაშორისო კონფერენციის მონაწილეთ

თქვენო მაღალყოვლადუსამღვდელოესობავ, მეუფე პანტელეიმონ, ყოვლადუსამღვდელოესნო მღვდელმთავარნო, ღირსნო მამანო, ქრისტესმიერ საყვარელნო ძმანო და დანო,
ყველას გულითადად მოგესალმებით საუკეთესო სურვილებით და მახარებს თქვენი ერთად ყოფნა.
მინდა მადლიერებით აღვნიშნო, რომ თქვენი შეხვედრის მიზანი და განსახილველი თემა, – „მოციქული პავლე და კრიზისების მართვა," – ფრიად აქტუალურია დღეს მსოფლიოში მიმდინარე პროცესების ფონზე.
სამწუხაროდ, მართლმადიდებელ სამყაროში არსებული პრობლემები კიდევ უფრო მნიშვნელოვანს ხდის ამ მიმართულებით ჭეშმარიტი ქრისტიანული აზროვნების წინ წამოწევის აუცილებლობას, რათა საზოგადოებას სწორი ორიენტირები მიეწოდოს.

ვიმედოვნებთ, ეს შეხვედრაც, ისევე როგორც წლების მანძილზე „პავლენის" მიერ ჩატარებული ფრიად საინტერესო კონფერენციები, იქნება წარმატებული და „სიყვარულით დამკვიდრებულთ და დაფუძნებულთ", ძალისამებრ თქვენისა, შეგეძლებათ „სიგრძისა და სიგანის, სიღრმისა და სიმაღლის წვდომა, და, რაც ყოველგვარ შემეცნებას აღემატება, - შეცნობა ქრისტეს სიყვარულისა". (ეფ. 3, 18-19.)

კიდევ ერთხელ მოგესალმებით ყველას, გლოცავთ და მოგილოცავთ 28-ე საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობას. წმ. პავლე მოციქული გწეოდეთ ღვთისსათნო თქვენს საქმიანობაში.
ქრისტესმიერი სიყვარულით

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი
მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი
ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი

25.06.2022

patriarchate.ge